

პარიზი, 2009 წლის 5 აგვისტო

### **კომუნიკე**

2008 წლის 7 აგვისტოს ევროპისაკენ სწრაფვისა და პროდასავლური ორიენტაციისათვის რუსეთმა საქართველო დასაჯა:

- ასობით ქართველი მოქალაქე იქნა მოკლული.
- ასიათასი ქართველი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური ადგილები.
- შიდა ქართლის პროვინცია (სამხრეთ ოსეთად წოდებული) და აფხაზეთის ნაწილი ოკუპირებულ იქნა რუსეთის არმიის მიერ.

2009 წლის აგვისტოს რუსეთმა ევრეთწოდებული დამოუკიდებლობის დაცვის საბაბით, სცადა საქართველოს ტერიტორიის ერთი მეოთხედის სამხედრო ანექსია.

სრულიად მოურიდებლად დაარღვია რა ევროკავშირის მაშინდელი პრეზიდენტის, სარკოზის მონაწილეობით დადებული შეთანხმება:


- რუსეთმა აკრძალა მშობლიურ ადგილებში იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნება და ხელი შეუწყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართველთა უმცირესობის დევნას და ეთნიკურ წმენდას.
- მთელი გასული წლის მანძილზე, რუსეთი ემუქრება პატარა საქართველოს, ახდენს არეულობის პროვოცირებას, სნაიპერებს ახოცინებს ქართველ პოლიციელებს (გასულ წელს 28 პოლიციელი იქნა მოკლული) და ახალ ინტერვენციას ამზადებს.
- რუსეთის ხელისუფლება კვლავ ხელს უშლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროპელი დამკვირვებლების მუშაობას, რათა მოახდინოს ძალადობის და გაძლიერებული შეიარაღების კამუფლირება.

საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომო კატეგორიულად გმობს ქართული ტერიტორიების სამხედრო ოკუპაციას და ყველა ქვეყანას, ყველა ინტერნაციონალურ ინსტიტუციას მოაგონებს, რომ სცნეს ამ ტერიტორიებზე საქართველოს სუვერენიტეტი.

საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომო ღრმა ერთგულებას და მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს და ქართველ ხალხს და სწამს, რომ მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პოლოტიკური გადაწყვეტილებაა პასუხი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზების და ოსების იდენტური მომავლისა. სხვაგვარად მათ ელით კულტურული და ლინგვისტური რუსიფიკაცია, როგორც ეს ხდება რუსეთის მფლობელობაში მყოფ ყველა ტერიტორიაზე და ყველა ეთნოსში.

საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს დირექტორთა კომიტეტი ყველა ქართველს, მათ მეგობრებს, უცხოეთში არსებულ ყველა ქართულ სათვისტომოს მოუწოდებს მობილიზება მოახდინონ საქართველოს დასაცავად და შეიკრიბონ:

**შაბათს, 8 აგვისტოს, 16:00 - პარიზში რუსეთის საელჩოსთან,**



ოთარ ზურაბიშვილი  
თავმჯდომარე